

13
1961



ქართველი
ბიბლიოთეკა

სადაში საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დასრულებას!

დღეს აქ მოსულან შვიდწლედის კვირნი,
კვირულ შრომაში გამარჯვებულნი.
შატაკს აძლევენ ხალხს და ჰარტიას,
დიდი ლენინის საქმის ერთგულნი.

კული ივსება ზღვა სინარულით,
რომ ისმენ ასეთ მკვნებას სიტყვებს:
ჩვენი ჰარტიის დიად პროგრამით
წინ, კომუნიზმის მწვერვალებისკენ!

სტატ
პროგრამა

ნოვობი

№ 18

თბილისი სემბლეზი
გამოცემის XXXIX წელი, ფასი 20 კაპ.

1961



ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ნიანგი მრავალ წერილს ღებულობს სხვადასხვა საკითხებზე. ამ წერილთა შორის არის აგრეთვე პასუხები გამოქვეყნებულ კრიტიკულ ფელეტონებსა და კარიკატურებზე. გაცნობთ მკითხველებს ზოგიერთ მათგანს.

სურათმა რა ჰქნა

მიმდინარე წლის მაისში ნიანგმა თავის მე-10 ნომერში დაბეჭდა ფოტოდოკუმენტი, რომელზეც აღბეჭდილი იყო სოსუმელი გურგენ შაკირიანის ქარხანა. შაკირიანმა თავი მოუყარა ერთ სარდაფში სახარატო დაზგებს და დაიწყო სხვადასხვა სახის საიუველირო ნაწარმის გამოშვება, რომელსაც სპეკულაციურ ფასებში ყიდდა მოსახლეობაში.

მის მიერ გამოშვებულ პროდუქციაში დიდი ადგილი ეკავა ოქროს ჯვრებს, რომელთა ძალამ და ძლიერებამ ვერ უშველეს გ. შაკირიანს და სახალხო სასამართლოს განაჩენით პატიმრობა მიესაჯა.

ნუნკას სიყვარული

ამ სათაურით ნიანგის მე-13 ნომერში დაბეჭდა ფელეტონი, რომელშიც მხილებული იყო საექვო პირების საექვო ღვინით ვაჭრობა.

მაიაკოვსკის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობას ორამჩირესა და სოსუმში გახსნილი ჰქონდა უკანონოდ ღვინის წერტილები, სადაც მოკალათებული იყვნენ საექვო პირები და წყალ-წყალა ღვინოს სპეკულაციურ ფასებში ასაღებდნენ.

ნიანგის გამოსვლის შემდეგ ღვინის წერტილები დაიხურა და წერტილი დაესვა იქ მოკალათებულ ქორვაჭრების თარეშს. მაგრამ დღემდე არ არის ცნობილი, თუ რა ზომები იქნა მიღებული იმ საქმოსნების წინააღმდეგ, რომელთა ინიციატივითაც ნუნკას მოყვარულებმა უკანონო გზით შესძლეს წერტილების გახსნა.

დაგვიანების ბრალია

ნიანგმა თავის მე-13 ნომერში დაბეჭდა აგრეთვე წერილი სათაურით — „რომელ სიაშია“. მასში აღნიშნული იყო, რომ პედაგოგი ვ. მშველიძე პლენარის პრესპექტიდან საცხოვრებლად გადავიდა საბურთალოზე. ძველ ბინაში მან დასტოვა ტელეფონი № 3-65-13 და ახალ ბინაში უნდა მიეღო ტელეფონი № 2-15-63, რომელიც იქ ადრე იდგა.

აღმოჩნდა, რომ სანამდე ვ. მშველიძე გადავიდოდა ახალ ბინაში და ოფიციალურად განცხადებას დასწერდა იქ დადგმული ტელეფონის დატოვებაზე, მანამდე ტელეფონი № 2-15-63 გაცემული იქნა სხვა მოქალაქეზე.

ცხადია, ამის გამო, თბილისის ქალაქის სატელეფონო ქსელის დირექციას (უფროსი ამხ. ა. ვაშაკიძე) არ შეეძლო სხვის ბინაში დადგმული ტელეფონი ამხ. ვ. მშველიძისათვის დაებრუნებინა.

ნიანგის დასკვნით ყველაფერი დაგვიანების ბრალია.

დაე იტოდეს ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის შენარჩუნება, რომ მაათ შეუძლიათ გაბედულად დაეყრდნონ საბჭოთა კავშირს, მის ტიტანურ ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება იმისათვის, რომ გონს მოიყვანოს ომის ფსიქოზის მოთავენი და შეაჩეროს თანდათან აჩქარებული სრბოლა ახალი ომისაკენ.
(საბჭოთა მთავრობის განცხადებით).

ახ. ვ. დოლუასი



არის ძალა, რომელსაც შეუძლია გონს მოიყვანოს ომის ფსიქოზის მოთავენი

ცოდვას ცოდვა დაემატა

ნიანგმა თავის მე-14 ნომერში დაბეჭდა წერილი სათაურით — „რამდენი ცოდვა შეგინდოთ“, რომელშიც მოთხრობილი იყო ჩვენი დროის „ტარიელ მკლავაძის“ მატარებლის მოულოდნელი რევიზიის კონტროლიორ-რევიზორის არმენაკ არუთინოვის „საგმირო“ საქმეების შესახებ.

არმენაკს სხვადასხვა დროს რამდენიმე კაცი შემოეღა ახალ სელოში, ხოლო უკანასკნელად ქელეხიდან დაბრუნების დროს, ალბათ დარდების გასაქარებლად, ექიმ ქალზეც სცადა თავისი მარჯვენის ძალა.

ნიანგის წერილის გამოქვეყნების შემდეგ კვლავ აღმოჩნდა არმენაკის ახალი დანაშაული. მას საკუთარ თავზე შეუდგენია ცნობა და საკუთარი ხელის მოწერით დაუდასტურებია, რომ მისი შვილი გიორგი არუთინოვი დაბადებულია 1937 წლის 2 აგვისტოს. ამ ცნობით მამამ თავისი შვილის წლოვანებას 5 წელი ჩამოაკლო და 1959-1960 წლებში სხვადასხვა დროს უკანონოდ აუღო მოწაფის სამგზავრო ბილეთი, რითაც სახელმწიფოს გამოსძალა გარკვეული თანხა.

ჟერ კიდევ ნიანგისათვის ცნობილი არ იყო არმენაკის ახალი ცოდვა, როდესაც მან მიიღო ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის ამხ. დ. მამაცაშვილისაგან ოფიციალური მომართვა, რომ ა. არუთინოვი ჩადენილი დანაშაულისათვის ჩამოყენებულია მწონავად სადგურ ნავთლულში.

იქნებ ახლა მაინც ასწონ-დასწონოს არმენაკმა, რომ მატარებლის მოულოდნელი რევიზიის კონტროლიორ-რევიზორის ფუნქციებში სრულიადაც არ შედის მგზავრებისათვის მოულოდნელი მუშტის გარტყმა.

ნიანგი



შახვედრა „მინდვრის დედოფალთან“.

ამხანაგო ნიანგო!

ვაჟა-ფშაველას პროსპექტი უსათუოდ მოგეხსენებათ. აქ ამჟამად დიდი მშენებლობაა გაჩაღებული. ახალი სახლები, რომ იტყვიან, სოკოებივით მრავლდებიან. მაგრამ აშენებული ზოგიერთი სახლის არქიტექტურა ნაკლებად პასუხობს ბინადართა მოთხოვნილებას და სწორედ ამის შესახებ მინდა მოგახსენოთ. საქმე ის არის, რომ არქიტექტორმა აიღო და სამშენებლო ეკონომიის მიზნით ხსენებულ სახლებს ლოჯის მაგიერ მიაღება თითქმის ექვსი მეტრის სიგრძის რკინის აივანი. ძალიან კარგიო, იტყვიან თქვენ და მოლოცვას დააბი-

რებთ, მაგრამ თქვენი დინჯი ხასიათი ვიცი და იმედი მაქვს არ აჩქარდებით. საქმე ის არის, რომ აქ, ვაჟას მომავალ პროსპექტზე ისეთი ქარი იცის, თვითონ ფშავსაც რომ არ უნახავს თავისი არსებობის ისტორიაში. გახვალ ქარაშოტის დროს სამზარეულოდან აივანზე, წაგართმევს სტიქია კარს ხელიდან თუგინდ დევის ღონისაც ბრძანდებოდე და თავიდან ბოლომდე შემინულს რკინის მოაჯირზე მიამსგერევს. ეს კიდევ არაფერი, მშენებლობიდან „ნაშოვნი“ მინა შედარებით იაფია და ხარჯს როგორმე გაუძლებს კაცი, მაგრამ ორასი კილოგრამი წონისაც რომ იყო, აივანზე ისე ვერ გამოხვალ, თუ აგურებით სავსე ხურჯინი არ აიკიდევ. მაქვს ქარს აივანზე დაწყობილი ნივთები: კარადები, კასრები, ყუთები და კაცი იფიქრებს, რომ ხსენებულ ნივთებს ძველ საცხოვრებელ ადგილისაკენ მიეჩქარებათო. ამისა და მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად მცხოვრებლებმა წინდაუხედავ არქიტექტორს საკუთარი არქიტექტორული უნარი დაუპირისპირეს და ახლა უნდა ნახოთ, რას წარმოადგენს ჩვენი, ოდესღაც ერთნაირი აივნები. ზოგმა ფირფიცრით შემოღობა, ზოგს სქელი ფიცრის შოვნის საშუალება აღმოაჩნდა, მესამემ შუშაბანდად აქცია რკინის აივანი და ბოლოს ისიც კი გამტყუნდა, საქმის მცოდნე მხატვრები რომ ამტკიცებენ — ბუნებაში ათას ექვსასი ფერი არსებობსო. რის ათას ექვსასი, სხვადასხვანაირად შედებილ ამ აივნებს რომ გადახედავ, სამი ათასი სხვადასხვა ფერი აგიჭრელებთ თვალებს. ქალაქის არქიტექტორს ეს ამბავი არ მოსწონს და ჭრელატრულა მინაშენები სასწრაფოდ დაანგრეთო, გვეუბნება. ჩვენ ქარის მოსატაცებელი თავი არა გვაქვს და ვართ ასეთ შეხლა-შემოხლაში. სანამ საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდეს, ამხანაგო ნიანგო, უმორჩილესად გთხოვთ მიგვეგზავნოთ იმ ჩვენთვის უცნობ არქიტექტორთან და მოახსენოთ, რომ ზედმეტი სიძუნწე ზოგჯერ სამაგ ხარჯს იწვევს.

ქარაგვეული ნაკვესები ვიგოვია

ტიტოვმა თქვა: დედამიწის მიზიდულობის ძალას რომ გავცდი, მერე ხალხის სიყვარული მიზიდავდაო.

ტიტოვს ჰკითხეს: კოსმოსის წყვდიადს რომელი ვარსკვლავი უფრო გინათებდაო და — კრემლისაო.


ამერიკელმა კორესპონდენტმა ტიტოვს ჰკითხა: ფრენის დროს ამერიკას რა ანგარიშით გადაუარეო და — ორით ნოლითო.

ტიტოვი კოსმოსში ხომალდით ფრინავდა და დედამიწაზე ჩვენი ხალხის სიხარულითო.

ასტრონომმა ჰკითხა ტიტოვს: კოსმოსიდან დედამიწა როგორიაო და — მიმზიდველიო.

დედამიწის გარშემო ტიტოვი ტრიალებდა და თავბრუ მტრებს ესხმოდათო.

ბაიოზ შავერაზშილი



შორს გავარდნილა საირმის სახელი. ვინ მოსთვლის რამდენი დამსვენებელი კმაყოფილების გრძნობით იგონებს ამ შესანიშნავ კურორტს და კვლავ მის სტუმრობაზე ფიქრობს. მაგრამ ერთხელ ვინც ყოფილა აქ და საირმის სასწაულმოქმედი წყალი დაუღვებია, ისიც გაასხენდება, რა სიძნელების გადალახვა მოუხდა გზაში.

განა ასეთი რა სიძნელეაო, იტყვი. ჩავლაღრების შემყურე, ხალხი ძველად საირმეში ჩასვლას ორ დღეს ანდომებდა, მაგრამ იქაურობას მაინც აღწევდაო.

მართალი ბრძანდებით. ახლა საირმეში ავტომანქანა ადის. ეს კი არაა, ავტობუსის მარშრუტიცაა დაწესებული — ქუთაისი-საირმე, მაგრამ, რად გინდა, ვიდრე მაიაკოვსკიდან საირმეში ახვილდე, ოღროჩოდრო გზებზე ავტობუსი საკმაოდ დაგანჯღრევთ. ამის შემდეგ თქვენს წინ დადგება ბინის პრობლემა.

კი ბატონო, მობრძანდით. მართალია, საირმის სანატორიუმის მშენებლობა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ მშენებლები — ქუთაისის № 4 სამშენებლო ტრესტის სამუშაოთა მწარმოებლები საირმეში დიდად ხელგაშლილი ხალხია, კეთილი მასპინძელივით მიგიწვევენ, ოღონდ ამგვარი შესახლება ცოტა ძვირი ჯდება — დღეღამეში სულ ცოტა ორი-სამი მანეთი.

მაშ რა ქნან? სანატორიუმის პირველი კორპუსის მშენებლობა 1961 წლის ივნისში უნდა დამთავრებულიყო, ხოლო მეორე კორპუსისა — აგვისტოში. ჯერაც არ დამთავრებულა და, ნაადრევი, საზამთროსი არ იყოს, ყველაფერი ძვირია. მაგრამ ამ მშენებლობის გაჭიანურების ძირითადი მიზეზი, მგონი, ის უნდა იყოს, რომ, თუ მშენებლობა დროზე დაამთავრეს, მაშინ დამსვენებლები სანატორიუმში საგზურით შესახლდებიან და, რაღა ხეირი ნახონ მშენებლებმა, რომელთაც ისედაც დიდ კონკურენციას უწევენ ქუთაისის მე-12 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის საირმის გზის მშენებლები. ესენიც, რაკი სანატორიუმში ჯერ არ დამთავრებულა, დამსვენებლებს სახელდახელოდ




აშენებულ ფიცრულ სახლში იწვევენ, ან ამგვარ რონოდებში ჩააახლებენ და იქ ცხოვრებისათვის თითო დამსვენებელს დღე-ღამეში სამ მანეთს ახდევინებენ. ასე რომ, თუ თქვენი ოჯახი ხუთი სულისაგან შედგება, დღეში კაი 15 მანეთი დაგიჯდებათ რამდენიმე ჭიქა საირმის წყალი.

ასე დაემართა რკინიგზის სადგურ კელასურის უფროსს შალვა გადელიას, რომელიც ოჯახიანად შესახლეს სანატორიუმის დაუმთავრებელ შენობის ერთ ოთახში. მერე ეს შესახლება რატომღაც ჭკუაში არ დაუკრათ ზოგიერთებს — რატომ უშუალოდ მე არ მომე-

ლაპარაკე და რატომ ვიღაც-ვიღაცების რეკომენდაციით შეხვედი ჩემს სანატორიუმშიო და, ოთახიდან ცივად გამოასახლა, თუმცა შ. გადელიას გარდა იმ შენობაში სამოცამდე ოჯახი იყო სხვადასხვა დროს შესახლებული.

რა ექნა შ. გადელიას? ოჯახიანად ცის ქვეშ დარჩენას ისევ ბორბლებზე ცხოვრება ამჯობინა და რონოდას მიადგა: იფიქრა რკინიგზელი ვარ და მშობლიურ გარემოში ვიქნებიო. მაგრამ ნახა, რომ იმ ბორბლებზე ცხოვრება რკინიგზის ბილეთზე ბევრად უფრო ძვირი უჯდებოდა და ამიტომ რონოდასაც თავი ანება.



ესაა საირმის სანატორიუმის ჭერჭერობით ექსპლოატაციაში მიუღებელი, მაგრამ მაინც ექსპლოატაციაში მიღებული კორპუსები.

მართალია, დამსვენებელთა ამგვარ „კულტურულ მომსახურებას“ ერთგვარი ნაკლი აქვს. თუნდაც ის, რომ მთლიანად საირმეში არ არის კანალიზაცია, არც ტექნიკური წყალია, რომ კაცმა ხელ-პირი დაიბანო, ან პირადი ჰიგიენა მინიმალურად მაინც დაიცვა. მაგრამ ეს სულ არ უშლის ხელს ზემოაღნიშნულ საქმოსნებს, რომ ძირითად საქმეს თავი ანებონ და დამსვენებელთა გატყაფებას მიჰყონ ხელი.

ახლა გვინდა კიდევ ერთ საკითხში გავაფრთხილოთ დამსვენებლები. როგორც ხედავთ, თუ საირმეში წასვლა გადაგიწყვიტიათ, ცოტა ფულითაც უნდა მომარაგდეთ, მაგრამ არამცადაარამც არ გადარიცხთ ფული აკრედიტივით, რადგან საირმეში შემსალარო არ არის და აკრედიტივის გასანადღებლად მაიაკოვსკში მოგიწევთ ჩასვლა. ამან კი მორჩენილი ჭაჭის ატკივება იცის.

კიდევ ერთი გაფრთხილება: საირმე რაც არ უნდა მარგებელი იყოს, ზოგჯერ დიეტა მაინც საჭიროა, მაგრამ საირმის სასადილოებში დიეტურ კერძს ნუ ეძებთ. სასადილოების მუშაკებს, ალბათ, სახელდახელოდ მოწყობილი „კურორტი“ ეძვირებათ და დამეს სასადილოს სამზარეულოში ათევენ, აქვე ინახავენ ლოგინს და ტანსაცმელს, ასე რომ „ნამდვილი დამსვენებლები“ არიან — დამთავრდება სეზონი და, ჰაიდა, სახლისაკენ საბან-გობანაკიდებულნი. ამიტომ, რომ სასადილოებში სისუფთავისათვის არავინ ზრუნავს.

ამ დონეზე დგას საირმეში საზოგადოებრივი კვების სხვა ობიექტები და ბაზარიც.

წელს კურორტს ახალი ხელმძღვანელი (დირექტორი მამია გიორგაძე) დაენიშნა. ახალმა ახლებურად ააწყო საქმე — აშენდა აბანო, მოეწყო ახტალის ტალახით მკურნალობა, თერაპიული და სტომატოლოგიური კაბინეტი, დიაგნოსტიკური ლაბორატორია და სხვა.

მაგრამ რა ვუწოდოთ იმ ვაიმშენებლებს, რომლებიც მხარში არ უდგანან კურორტის დირექციას და, საირმის კეთილმოწყობისათვის იქ ჩასულნი, უფრო ისვენებენ, ვიდრე მუშაობენ!

ი. გერსამია




ნან. ღონისა

— „პრაგრამა ფუტბოლაა!“
 — „სემინკი ჟარინიი!“
 — მეგობარო, გთხოვთ და-
 მითმით ადგილი.
 — ინვალიდი ბრძანდებით?
 — არა, ბატონო.
 — აბა რატომ უნდა დაგი-
 მო?
 — ჩემია ადგილი.
 — არაფერი გეშლება?
 — ზუსტად ვიცი!
 — სკოლაშიც რომ ვერე კა-
 რგათ გცოდნოდა გაკვეთილე-
 ბი, ახლა ხომ ლოქაში დაჯდე-
 ბოდი.
 — ძია, ჩამისვი რა კალთა-
 ში, „ესანდონი“ ბილეთი მაქვს.
 — შენ კი არა, ჩემი ბავშვი
 არ ჩამისვამს ჯერ.
 — ჰოდა, მე ვიქნები სიფთა.
 — გაჩუმდი ახლა, თამაში
 იწყება.
 — სუდია სპოლიაააა!..
 — აცალე, შე უპატრონო,
 ვილაცა ხარ. ეგება დღევანდელ
 მატჩზე ობიექტურად იმსაჯოს.
 — მალაღეც, სუდია, პენალ-
 ტი იყო და კორნერი მისცა.
 — ხო, ხო, ხო! შენ რა ვით-
 ხარი, თავი გაუტყუხა და ესაა...
 — თავი კი არა, ფოლადი
 აბია.
 — ორ კაცს მისცა კიდევ
 მაგისთანა თავი!..
 — მასეთი ნიჭიერია ეგ კა-
 ცი? — იკითხა ვილაც ახალბე-
 დამ.
 — ცოდვა არაა ახლა, მაგი
 ადგილზე იყოს გამოჭიმული,
 მე კი ზეზეულა ვხმებოდე ამ
 სიცხეში? — თქვა ახალბედამ
 მისამართით მეორემ.
 — ხეები ზეზეულად ხმები-
 ან!
 — დედა, დედა! რას ხეთქავდა
 ახლა იმ ბურთს, მეკარე რომ არ
 დახვედროდა კარში!..
 — მაგი მეკარეთა რისხვაა,
 კარი რომ ცარიელი იყოს, მო-
 ძებნის სადღაც მეკარეს და ხე-
 ლებში აჯახებს ბურთს.
 — მეგობარო, ვინ გგონივარ
 მე შენ, წიხლი რომ მითავაზე
 ზურგში? — აუყვირდა ახალ-
 ბედმა უკან მჯდომ ახალგაზრ-
 დას.
 — ბოდიში, ბატონო! ორჯერ

ხმა არ ამოიღე და, ვიფიქრე,
 ვერა გრძობს-მეთქი.
 — ბოდიში რომ წამალი
 იყოს...
 — აფთიაქში ვედარ იშოვის
 კაცი. დაჯექი ახლა და დაწუნა-
 რდი.
 უტევენ ჩვენები.
 იქუსა ხალხმა სტადიონზე,
 ქუდები აფრიალდა პაერში,
 მტრედები გაფრინდა ცაში. აღ-
 ტაცებული მაყურებელი ერთ-
 მანეთს ეხვეოდა და კოცნიდა.
 — არაფერი გეწყინოს, ბი-
 ძია, ოღონდ გაიმარჯვონ ჩვე-
 ნებმა და სამჯერ ამოგარტყმე-
 ვინებ წიხლს თამაში რომ დამ-
 თავრდება.
 ბურთი ჩაიგდეს მოწინააღმ-
 დეგებმა, შეუტიეს გაშლილი
 ფრონტით, მარცხენა გარემარ-
 ბმა გარღვევაზე გაიყვანა ცენ-
 ტრალური თავდამსხმელი, და-
 რტყმა და სამარისებურ სიჩუ-
 მეში ახალბედამ „შლიაპა“
 აისროლა პაერში. ყვიროდა
 თავგამოდებით, ხელებს იქნე-
 და და კოცნიდა ახალგაზრ-
 დას. გაოგნებული და დამწუხ-
 რებული მაყურებელი გაკვირ-
 ვებული შეცქეროდა მას.
 — დაარტყა საცოდავს.
 — გადაცმული „ბალელში-
 კი“ ყოფილა.
 დაწყნარდა ახალბედა, დაჯ-
 და ადგილზე, მერე ოფლი შეი-
 წმინდა შუბლზე და...
 — ვინ დამახურა ეს „კეპ-
 კა“ თავზე?
 — არ გისდება თუ?
 — როგორ წავიდა წინ ტექ-
 ნიკა, „შლიაპა“ ავისროლე პაე-
 რში და „კეპკა“ დამიბრუნდა.
 — აცალე ცოტა ხანს, ისე
 რავა გაუწყრებათ ღმერთი ჩვენს
 მოთამაშეებს, კიდევ არ გაიტა-
 ნონ ბურთი. მერე „კეპკა“ აის-
 როლე ზევით და ეგებ დაგიბ-
 რუნდეს შენი „შლიაპა“.
 მას შემდეგ სამ თამაშს დაე-
 სწრო ზედიზედ ის ახალბედა.
 მაგრამ ბურთი აღარავის გაუ-
 ტანია მოწინააღმდეგის კარში.
 თამაშები კიდევ წინაა, ეგებ
 დაუბრუნდეს მაყურებელს თა-
 ვისი ქუდი?

3. კაზაროვი



— რა არის, კაცო, ყველაზე დიდი თევზები შორს რომ
 დავიშალავს?
 — დიდ თევზებს სიღრმეში ყოფნა უყვართ!

ნ ა კ ვ ე ს ე ბ ი

მომხმარებელმა გამყიდველს უსაყვედურა — რატომ არა გაქვს
 ჩემი ხათრიო და — უგაქტურო საქონელს მიშლიანო.
 რევიზორმა დანაკლისი ვერსად აღმოაჩინა, გარდა საკუთარი
 ჯიბისათ.
 უფროსმა ერთი მდივანი ორჯერ დანიშნაო.
 დედითობოლს წაუტრაბახა ამხანაგმა — მე დედა თუ არა, სი-
 დედრი მაინც მყავსო და — მამ შენ ჩემზე ობოლი ყოფილხარო.
 გამყიდველს მარჯვენა დაულოცეს და ნუ იწყევლებით, „მარ-
 ცხენა“ მიდღვრძელეთო.
 ვახტანგ ჯავრიშვილი

მონადირის ბასაჭირი

ნან. ღონისა



— ვნახო ერთი წესდება —
 ამ ფრინველის მოკვლა შეიძ-
 ლება თუ არა?

ნახა...

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ნაქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
 ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 2-76-69, ხაერთო განყოფილების — 2-10-49

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няньги“.
 ბელმოწ. დასაბ. 14/IX-1961 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნან. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა
 რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეჯ. № 1635, შე 00296. ტირაჟი 40000

